საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 66

24 05 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პირველი კვარტლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის სხდომის N9 ოქმის მეორე საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 28 აპრილის N03/2836 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საფუძველზე

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით შეფასდეს დადებითად.

2 მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,გ.ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოს 2015 წელს, მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის საკრებულოსათვის წარდგენა.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ზაურ ტაბატაძემ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი